საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ბადრი შონია

ბიულეტენი

კენჭისყრა - 23.07.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილ იქნეს გენადი მაკარიძე?
დიახ (1) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად კანდიდატ გენადი მაკარიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

23 ივლისი, 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 02 ნოემბრის N1/138 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, რომელშიც ერთ-ერთ კანდიდატად მონაწილეობა მიიღო გენადი მაკარიძემ.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად შევაფასე კანიდატ გენადი მაკარიძის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. შეფასებისას ვიხელმძღვანელე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და თავად გენადი მაკარიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით. ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 95 ქულა, რაც ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 95 % შეადგენს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N 1/136 განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა გენადი მაკარიძე. შესაბამისად,

ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 23 ივლისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა გენადი მაკარიძის კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე გენადი მაკარიძის კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის.

სახელი, გვარი: ზადრი შონია